# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 3 (4507) ● 25 თებერვალი ● 2015 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 80 თეთრი ●


## დედებო, გილოცავთ 8 მარტს!

**ნომრის სტუმარი: თბილისის სომხურენოვანი 104-ე საჯარო სკოლა**

# აქ საქართველოს სიყვარულით იზრდებიან



**ათონელის** 5-ს ამშვენებს ეგზოტიკური შენობა.

ეს სახელოვანი სომხურენოვანი სკოლაა, რომელიც დაარსებიდან 75 წლისა გახდა, ხოლო №104-ის მინიჭებიდან – სამოცისა.

მომხიბლავია სკოლის იერ-სახე. ასევე მაღალ დონეზეა მოწესრიგებული მისი ინფრასტრუქტურა. თვალსა და გულს ახარებს აკურატული დერეფნები, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, სპორტული თუ სხვა საღონისძიებო დარბაზი. კეთილმოწყობილი ბუფეტი, ზომიერად გაჯერებული თვალსაჩინოება, კაბინეტ-ლაბორატორიები. ყველაფერი ერთად ჰარმონიაში ქმნის სამეცადინო განწყობილებას, აძლიერებს სასწავლო მოტივაციას.

ერევნის 4-5 პრესტიჟული სკოლა მინახავს. არცერთ მათგანს არ ჩამოუვარდება თბილისის 104-ე.

აქ მუდამ გამოცდილი დირექტორები მოღვაწეობდნენ. ისტორიის თვალსაზრისით მათ შორის გამორჩეული იყო შემოქმედი ორგანიზატორი **კარინე მანუკიანი**.

და აი, უკვე სამი წელია მის ძვირფას ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს თავად ჩინებული პედაგოგი და ნოვატორი დირექტორი **ირინა ჟამკოჩიანი**, იგი თბილისის 98-ე საშუალო სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილია. დიდხანს მოღვაწეობდა თბილისის 86-ე სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად, შემდეგ – დირექტორის მოადგილედ. იგი რუსული ენის სწავლების დარგში ბევრი მეთოდიკური ნაშრომისა და წიგნის ავტორია, სამი წელია 104-ე სკოლას განაგებს, რომ იცოდეთ, ძალიან წარმატებულად.

დირექტორს მხარს უმშვენებს მისი მოადგილე, შემოქმედი პედაგოგი **ალმარი სირადეგიანი**. ასევე დიდი წვლილი შეაქვს სკოლის წარმატებაში მათემატიკის მასწავლებელს, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს **სილვა სარუხანიანს**. აქ ყველა კლასში ძლიერი, შემოქმედი პედაგოგები მოღვაწეობენ. ამიტომაც არის სკოლა ასე წარმატებული.

**აქ მოსწავლეები საქართველოს სიყვარულით იზრდებიან.** ეს იმაში გამოიხატება, რომ ყველამ კარგად იცის ქართული ენა. სომხურ სკოლადამთავრებულნი ქართულ ენაზე ბრწყინვალედ სწავლობენ ქართულ უნივერსიტეტებში. აი, თუდნაც ასეთი მაგალითი:

შარშან 21-მა მოსწავლემ დაამთავრა სკოლა. **არამ მელიქიანმა** და **ლიანა მარქარიანმა** ვერცხლის მედლები მოიპოვეს. **ელზა ტოროსიანი**, **გარეგინ მიკირტუმიანი**, **გევორქ მკრტიჩიანი**, **ლიანა მარქარიანი** და **არამ მელიქიანი** 100%-იანი გრანტით ჩაირიცხნენ უნივერსიტეტებში და წარჩინებული სტუდენტები არიან. უფრო მეტს გეტყვით: დირექტორის მოადგილე თავად სომეხი **ალმარი სირადეგიანი** ქართულ ენა-ლიტერატურას ბრწყინვალედ ასწავლის სომეხ ბავშვებს.

საგნობრივი კათედრები ნაყოფიერად, საინტერესოდ მუშაობენ. მაღალ შედეგებზე ორიენტირებულია: ქართული ენა-ლიტერატურის (ხელმძღვანელი **მარეტა შახდინარიანი**), მშობლიური ენა-ლიტერატურის (**კარინე ოგანეზოვი**), დაწყებითი კლასების (**ლამარა კაზარიანი**), მათემატიკის (**სილვა სარუხანიანი**), საბუნებისმეტყველო (**გულჩორა ბაბაიანი**), უცხოური ენების (**ვიოლეტა მაყაშვილი**), საზმეცნიერებების (**პაიცარ გრიგორიანი**), ფიზ.-ესთეტიკური აღზრდის (**მარინა არშაკიანი**) კათედრათა საქმიანობა.



სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში გადამწყვეტია, განსაკუთრებულია კლასის დამრიგებლების როლი. დირექცია მაღალ შეფასებას აძლევს გატაცებით მოღვაწე კლასის ხელმძღვანელებს: **პაიცარ გრიგორიანის** (X კლასი), **სილვა სარუხანიანის** (VIII), **იზაბელა აბრამიანის** (XI), **ალინა ავეტიანის** (XII), **ასია ბაგრადასარიანის** (III), **ანჟელა ამირხანიანის** (VI), **ელმირა არგულიანის** (I), **გულნარა არუთინოვის** (IX), **ლამარა კაზარიანის** (IV), **გულჩორა ბაბაიანის** (V), **მარინა არშაკიანის** (VII), **სირანა კალოიანის** (II) თავდადებულ შრომას.

მადლობა ბრწყინვალე სახელმძღვანელოებითა და სხვა მეთოდური ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკის გამგეს **ასმიკ ანტონიანს**, რომელიც პედაგოგებთან ერთად ბევრს მუშაობს მოსწავლეთა მაღალი წიგნიერებისათვის.

მასწავლებლის შრომა იზომება და ფასდება შედეგებით. ამ მხრივ ბევრი აქვთ საამაყო ამ სკოლის პედაგოგებს. ვეტერანი მასწავლებლები: **ანჟელა ამირხანიანი**, **ასია ბაღდასარიანი** და სხვები კვლავ ახალგაზრდული შემართებით მუშაობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობას ენერგიულად უძღვება მეათეკლასელი **ანა ოგანეზოვა**. ახალგაზრდები ერთად აწყობენ ემოციურ ღონისძიებებს. აი, თუნდაც ასეთი იყო ახლახან ჩატარებული წმინდა ვალენტინის (ე. ი. სიყვარულის) დღე.

– იმდენ ღონისძიებას ვატარებთ და იმდენი გამარჯვებულები გვყავს, მას თქვენი გაზეთის მთელი ნომერი არ ეყოფაო, – მითხრა ხუმრობით **ირინა ჟამკოჩიანმა** და კომპიუტერით ზღვა მასალა ამომიბეჭდა.

ნამდვილად სწორია. იქიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე გამორჩეული მომენტის დასახელება შეგვიძლია. მაგალითად, კონკურსებში, კონფერენციებში, ოლიმპიადებში, სხვა პროექტებში თავი ისახელეს: **მარიამ ფერიხანიანმა**, **ანა ოგანეზოვამ**, **ჟანა მკრტუმიანცმა**, **ამანდა სარქისიანმა**, **გიორგი ფერიხანიანმა**, **ანა ოგანესიანმა**, **დავით გალსტიანმა**, **ანა სირუნიანმა**, **ოქსანა იაშაქიანმა**, **ბენიკ მინასიანმა** და სხვებმა. ვინც კი გამოგვრჩა, ბოდიშს ვუხდით.

სკოლაში ფუნქციონირებს თეატრალური კლუბი (**ლიანა მარქარიანი**), ცეკვის წრე „ვანქ“ (**ლიანა კაშავანიძე**), ინგლისურის წრე (**სუსანა ახტიანი**).

ტრადიციად ჩამოყალიბდა შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან.

სიახლეა და სასიამოვნო ტრადიციად იქცა მშობელთა კონფერენციები.

არ შეიძლება არ ვახსენოთ ამ სკოლის აღზრდილი სახელოვანი ადამიანები: აკადემიკოსები **მხითარ** და **ედუარდ ჯირბაშიანები**, მწერალი **შაჰენ თათიკიანი**, აკადემიკოსი **სურენ მკრტიჩიანი**, პროკურორი **გოჰარ ღაზარიანი** და სხვები. სკოლა ამაყობს სპორტსმენ (ევროპის ჩემპიონი აიკიდოში) **არარატ საიადიანით**,

სკოლაში თუ რამე დიდი ღონისძება ჩატარდება, ჩვენი გაზეთი მზად არის მის გასაშუქებლად. სკოლის უსაფრთხოებას და დისციპლინას ერთგულად იცავენ მანდატურები: **იური კაზარიანი** და **ასმათ მექვაბიშვილი**, დაცვის მუშაკები: **რაჩიკ ნერსესიანი** და **გურამ ბასიაშვილი**. მათი კარგი მუშაობით დირექცია ნამდვილად კმაყოფილია. კიდევ ბევრი კარგი რამ დაგვრჩა უთქმელი. შემდეგისთვის იყოს.

ვულოცავთ 104-ე სკოლელებს იუბილეს და მომავალში კიდევ დიდ, შთამბეჭდავ წარმატებებს ვუსურვებთ.

**ბორის მიშველაძე**,
პედაგოგიკის დოქტორი




**ხალისიანი განწყობილებისათვის**



## გიორგი ლეონიძე

## გაზაფხული

**რომელ** მერანზე მოფრინდი,
რომელ მქროლავი რაშითა?
„ლილეოს“ ქუხილთა ხმებში,
ნიაღვარების ტაშითა!
ვინა თქვა, სინაზით მოხვალ,
ენძელებით და იითა?
სადაც მწვანე ფრთას დაიქნევ,
ვაჟკაცურ ძგერას მიიტან!
სალამი, ასჯერ სალამი!
შენ გაზაფხულის დგრიალო!
ყინულს დალეწავ, ხმატკბილად
წყაროს რომ დაიწკრიალოს...
მე გულს დავლეწავ, ნაკვესარ
ლექსმა რომ დაიძგრიალოს!
შორიდან გეხარხარები:
მოდი, სულ ერთად ვიაროთ!

* * *

დალალები... დალალები...
ჩემს ხელში ვინ მომიქუჩებს?
დანანებით, დანანებით,
მე შევყურებ მარწყვის ტუჩებს.
რა ვნახე და რა ვიპოვე
კოცნა მწყურის და ამბორი.
თუ არ გინდა სიახლოვე,
რაღად გინდა ყოფნა შორით.
მომაწოდე ტუჩის ლალი,
გაზაფხულის ნაბრწყინვალი,
უკვდავების ღვინოდ შევსვა
შენი კოცნის ნაპერწკალი!
დალალები... დალალები...
ეგ სიმდიდრე სად ვიშოვე?
გულში სევდა გადაზღვავდა,
ვაჰ, სიშორევ!
ეჰ, სიშორევ!

**მკითხველთა საყურადღებოდ!**

გაზეთის გამოსაწერად
მიმართეთ პრესის
გავრცელების სააგენტოებს:
“საქპრესა” _ გურამიშვილის
გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518,
“მაცნე” _ საირმის ქ. კორპ N 4,
ტელ.: 2 14 74 22.

## მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

# მეგობრობასა და სიყვარულს ასწავლიან

**თბილისის 132-ე საჯარო სკოლაში**



დირექტორი თამარ მაჭარაშვილი

**შევდგი** თუ არა ფეხი შენობაში, უნებურად ნონეშვილის სტრიქონები გამახსენდა: „რა კაცია, ეზო-კარი, ვინც ნარ-ეკლით შემოღობა, გაუმარჯოს ძმად შეფიცვას, სიყვარულს და მეგობრობას!“

დედაქალაქის 132-ე საჯარო სკოლაში ქართველი, სომეხი, რუსი და სხვა ეროვნების მოსწავლეები მეგობრულად იზრდებიან, ახალი დირექტორი ჰყავთ, გამოცდილი, სიახლეთა ინიციატორი, ტკბილმოუბარი. მოვიდა და მალე დაატყო ყველაფერს საკუთარი ხელწერა.

**თამარ მაჭარაშვილი** გორის რაიონის სოფელ ახალდაბის საშუალო სკოლისა და ცხინვალის პედინსტიტუტის აღზრდილია. 32 წელია პატარებს ზრდის იაკობის „დედაენით“. შარშან კონკურსის წესით ამ სკოლის დირექტორად გაამწესეს. იგი არა ჰგავს „ახალი ცოცხის“ პრინციპით მომუშავე დირექტორს. მოკლე ხანში თავის ძლიერ პედაგოგებთან ერთად სკოლა აღმავლობის გზაზე დააყენა.

დირექტორს მხარს უმშვენებენ ასევე ნიჭიერი, ენერგიული, პირმშვენიერი მოადგილე **ეკა დათუკიშვილი** და, რა თქმა უნდა, შემოქმედებითად მოღვაწე მასწავლებლები.

ყველაზე დიდი სიახლე ის გახლავთ, რომ სკოლა აქტიურად ჩართულია პროექტში: **„სამოქალაქო და სოციალური პარტნიორობა ინტერკულტურული განათლებისათვის“**. შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობა აკავშირებთ სომხეთის საგანმანათლებლო კომპლექსთან სახელწოდებით **„მხითარ სებასტაცი“**. გამოცდილების ურთიერთგაზიარების, სომეხი და ქართველი მოსწავლეების დამეგობრების მიზნით შარშან ხუთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ ერევანში და ეცნობოდნენ სასწავლო კომპლექსის საქმიანობას.

იმ სასწავლებელში არჩევითი ენა ისწავლება ქართული და მალალკლასელები მშვენივრად მეტყველებდნენ ქართულად.

მალე გაზაფხულზე ერევნელი სტუმრები საპასუხო ვიზიტით თბილისელებს ეწვევიან.

132-ე სკოლაში ნაყოფიერად მუშაობენ საგნობრივი კათედრები. უნარიანად უძღვებიან: დაწყებითი სწავლებისა და ესთეტიკა – სპორტის კათედრას – **მზია ჩხაიძე**, უცხო ენებისას – **თამარ ჩიკოიძე**, ქართული ენა-ლიტერატურისას – **სუსანა ასლანიანი**, საბუნებისმეტყველო-მათემატიკისას – **ინესა მანდალიანი**, საზმეცნიერებისას – **ასმიკ დონაკანიანი**.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სიმძიმე ხომ კლასის დამრიგებლებზე გადადის. შემოქმედებითად და შედეგიანად უძღვებიან რთულ საქმეს ჩინებული დამრიგებლები: **ლარისა ყაზიშვილი**, **ლუიზა პეტროსიანი**, **მზია ჩხაიძე**, **ნანა ყარაჯაშვილი**, **დიანა ასანიძე**, **ნათია მაჭარაშვილი**, **ლარისა გევორქიანი** და სხვები. დიდი მადლობა მათ ასეთი თავდადებული მოღვაწეობისთვის. იგივე გვინდა ვთქვათ გამობრძმედილ პედაგოგ **მაია კახნიაშვილზე**, რომელიც ინკლუზივ ბავშვებთან გატაცებით და ნაყოფიერად მუშაობს.

გავეცანით მოწინავე მასწავლებლებს, რომლებიც საგანს მაღალკვალიფიციურ დონეზე ასწავლიან. **თამარ მაჭარაშვილმა** მაღალი შეფასება მისცა: **ვიქტორია აბრამიანის** (მათემატიკა), **ირინა საროკინას** (რუსული), **ემა ასტვაცატურიანის** (ბიოლოგია), **ვალენტინა ახრახაძის** (გეოგრაფია), **ინა მელაშვილის** (სპორტი) და სხვათა ნაყოფიერ მოღვაწეობას.

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული საწრეო მუშაობაში. მეტად პოპულარულია ჭადრაკის – პედაგოგი **ალექსი სტეფანიანი**, ჩოგბურთის – **მარინე მარუაშვილი**, კინბოქსინგის – **გიორგი ფილაშვილი** წრეების საქმიანობა. სკოლა ჩინებულმა კალათბურთელებმა ბევრჯერ ასახელეს. გამორჩეულ, პერსპექტიულ კალათბურთელად იცნობენ XI კლასელ **რაფაელ ხალათიანს**.

მაღალია მოსწავლეთა ჩართულობა შემოქმედებით კონკურსებში, ოლიმპიადებში. ინგლისური ენის ახალგაზრდა პედაგოგი **თამარ ჩიკოიძე** ასახელეს მისმა აღსაზრდელებმა: **ანდრია ასლანიანმა** (VIII კლასი), **ალექსანდრე ბუზრუჩკომ** (VI), **ინა კალუცკიმ** (VII), **ანრი მურადიანმა** (IX), **თორნიკე ბაროიანმა** (IX), რომლებმაც „London school“-ის ოლიმპიადაში სერთიფიკატები დაიმსახურეს.



**ნანა ყარაჯაშვილი გაკვეთილზე I კლასში**

მათემატიკურ ოლიმპიადა „ევერესტში“ იმარჯვეს მეოთხეკლასელებმა: **გარიკ პოლოსიანმა**, **ვიკა ალოევმა** და **მიხეილ მელიქსესიანმა**.

ბრწყინვალე საახალწლო წარმოდგენა „თოვლი“ უჩვენა მაყურებელს II კლასის პედაგოგმა **ლუიზა პეტროსიანმა**. ხელოვნების მასწავლებლის **ლარისა გევორქიანის** VI კლასელებმა ხელთნაკეთი თოჯინების დიდებული გამოფენა მოაწყვეს.

რედაქციის სახელით დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ ოქრომჭედელ **სერგო ავაქიანს**, რომელიც ენთუზიაზმით ჩართულია სასწავლო პროცესში და მოზარდებს ხელოვნების ესთეტიკას აზიარებს.

სკოლის უსაფრთხოებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში დირექციას აქტიურად უდგანან მხარში მანდატურები: **ალექსი ოლქიაშვილი** და **ნათია რატიანიძე**.

ასე რომ, ახალი დირექტორის **თამარ მაჭარაშვილის** თაოსნობით სკოლა მძლავრი ნაბიჯებით მიდის წინ აღმავლობისაკენ.

**ბორის ხარებავა**

---

**ცოდნა — წიგნიერების დედაწყარო**

# ბიბლიოთეკა, რომელიც კომპიუტერზე მეტია

**ინტერნეტმა** ლამის წიგნი ხელიდან გამოგვაცალოს და რობოტებად გვაქციოს. იდიოტი უნდა იყოს კაცი, რომ კომპიუტერის უდიდესი სიკეთე არ ესმოდეს, მაგრამ მედალს ხომ მეორე მხარეც აქვს? „მეტისმეტი ბრეტისბრეტიო“, – ნათქვამია. თუ ზედმეტად და არამიზნობრივად გამოვიყენებთ მას, ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანი გახდება და არც სწავლების ხარისხს აამაღლებს. კალმახზე უფრო მარგებელი თევზი რომელია, მაგრამ ლუარსაბ თათქარიძე უზომოდ რომ მიაძლა, დაემართა კუჭის ანთება და „ჩაბარდა პატრონს“.

დაილოცოს წერა-კითხვისა და წიგნის გამომგონებელი. წიგნი – განუსაზღვრელი სიკეთის, ბედნიერების მომტანია საზოგადოებისთვის და არავითარი ზიანისა, მარად უკვდავია. კომპიუტერი თუ ზეკომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის და ჩაანაცვლებს წიგნსა და მის მკითხველს. ეს პრობლემა ცხარე დისკუსიის საგნად უნდა იქცეს.

ამჯერად კი შექმნილი ვითარების ფონზე გადავწყვიტეთ, სწავლა-აღზრდის საქმეში სასკოლო ბიბლიოთეკების როლსა და დანიშნულებაზე გვემსჯელა.



ამ მიზნით დედაქალაქის მოწინავე 142-ე საჯარო სკოლის ახალგაზრდა, შემოქმედ დირექტორს **შორენა ცნობილაძეს** შევეხმიანეთ და ვთხოვეთ: გამოცდილების გაზიარების მიზნით რედაქციაში გამოეგზავნა წერილი, თუ როგორ არის მათი სკოლის ბიბლიოთეკა ჩაყენებული სწავლებისა და აღზრდის სამსახურში.

დირექტორმა მაღალი შეფასება მისცა ამ საქმეში სიახლის მაძიებელი ბიბლიოთეკარის **მაია ჭეიშვილის** ნაყოფიერ მოღვაწეობას. გთავაზობთ თავად ბიბლიოთეკის გამგის წერილს:

***

**განვითარებული** სკოლის წინსვლა წარმატებებისაკენ, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, რომელთაგან ერთ-ერთი სტიმულატორი სკოლის ბიბლიოთეკაა. სწორედ ამ თვალსაზრისით, სკოლის დირექციის დიდი ძალისხმევით გარემონტდა და განახლდა წიგნსაცავი. შეივსო იგი მხატვრული, ისტორიული, სათავგადასავლო და სამეცნიერო ლიტერატურით.

მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანია ის გარემო და ინტერიერი, რომელშიც მათ უწევთ მუშაობა. ყოველმხრივ ვახალისებთ მოსწავლეებს, დაიბრუნონ წიგნის სიყვარული, რაც შეიძლება ბევრი ლიტერატურა წაიკითხონ. ყოველი ღონისძიება აქეთკენ არის მიმართული.

აქ არსებული წიგნები მოვარგეთ თანამედროვე სტანდარტებს. წიგნები განთავსებულია თაროებსა და კარადებში საფეხურების მიხედვით, მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების შესაბამისად. გამოყოფილია მკითხველთა კუთხე.

ამჟამად ყველა პირობა შესრულებულია კომფორტული და საინტერესო გარემოს შესაქმნელად.

ბიბლიოთეკას აქტიურად ამოუდგნენ მხარში სკოლის საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები: **ინგა ფირანაშვილი**, **ნინო მაჭავარიანი**, **ნინო ჯიქაძე**, **თამილა მაჭარაშვილი**, **ლია გუდაძე**, **ნანა ჩაჩუა** და **მარინე სარალიძე**.

განსაკუთრებულია ქართული ენა-ლიტერატურის კათედრასთან ჩვენი შემოქმედებითი თანამშრომლობა. ერთობლივად იგეგმება და ტარდება საინტერესო ღონისძიებები: ენის დღესთან დაკავშირებული კონფერენციები, აქტიურ მკითხველებთან მრგვალი მაგიდა, მწერლებთან, მსახიობებთან შეხვედრები. საინტერესო ინიციატივებს იჩენენ ქართულის პედაგოგები: **ლელა საური**, **მარინე სარალიძე**, **მაყვალა გერმანოზაშვილი**, **რუსუდან კვერნაძე**, **მაკა ფარეიშვილი**, **ნაზიბროლა ვაჩეიშვილი** და **ლია გვიჩია**.

ყველა ღონისძიებას ვინ ჩამოთვლის, მაგრამ სანიმუშოდ ერთს მაინც დავასახელებთ.

ბიბლიოთეკა მჭიდროდ თანამშრომლობს კათედრის წევრებთან და ახორციელებს ბევრ საინტერესო აქტივობას. მათგან გამოვყოფდით პროექტს – „ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“, რომელიც ითვალისწინებდა სასკოლო ბიბლიოთეკების შევსება-განახლებას სხვადასხვა სახის ლიტერატურით.

სკოლის ბიბლიოთეკაში საინტერესოდ წარიმართა ღონისძიება, რომელიც საჯარო სკოლის პედაგოგებმა: **ლეილა საურმა** და **ნინო ჯიქიძემ** მოამზადეს მეშვიდე-მერვე კლასის მოსწავლეებთან, სახელწოდებით: „წიგნის ზღაპარი“. მოწვეული იყო ცნობილი ახალგაზრდა მწერალი **დავით ტურაშვილი**. ასევე ესწრებოდნენ მერიის საკრებულოს წევრი **ნათელა მაჭავარიანი**, განათლების სამინისტროსა და ნაძალადევის რაიონის გამგეობის საკრებულოს წევრები.

განსწავლულობით, ნაკითხობით, დეკლამაციის ნიჭით თავი გამოიჩინეს მოსწავლეებმა: **ანა თანდიაშვილმა**, **ელენე კობახიძემ**, **ნიკა გაგიშვილმა**, **ლუკა მაჭავარიანმა**, **საბა** და **ვაკო გოგატიშვილებმა**, **ვაჟა დარეიშვილმა**, **ქეთი ქიტესაშვილმა**, **ნინო ყურუმაშვილმა**, **გია ჭანტურიშვილმა**, **სერგი ჯიქიამ**, **ნიკა კუპატაძემ**, **ნიკა კონიაშვილმა**, **ანი ცაგარეიშვილმა**, **შოთიკო ჩოხელმა**, **თაკო ბაბურიშვილმა**, **თამარ თუმანიშვილმა**, **ლაშა მირზიაშვილმა**, **მარი რუბაშვილმა**, **ნიკა სონღულაშვილმა**, **გია თაბორიძემ**, **თანანო გურგენიძემ** და სხვებმა.

სკოლის დირექტორის **შეორენა ცნობილაძის** დიდი ინტერესი და სურვილია, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში მუდმივად მიმდინარეობდეს განახლების პროცესი, ყველა პირობა შეიქმნას იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეიყვარონ წიგნი და აღიზარდონ გემოვნებიან მკითხველებად.

**მაია ჭეიშვილი,**
ბიბლიოთეკარი

## „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო!“

# მე-40 ბაგა-ბაღი ბაღნარია



**ჯანსაღია** საზოგადოება, სადაც თაობები ყალიბდებიან პატრიოტები, ერთგულები, მეგობრულები, მოსიყვარულეები, ტრადიციულები. სწორედ ამ საქმეს უყრის საფუძველს თბილისის მე-40 ბაგა-ბაღი. ესთეტიკურად ულამაზესად გაფორმებულ შენობაში საქართველოს მომავალი ყალიბდება. მის კედლებში პატარებს მხიარული ჟრიამული, სიცილი, ცეკვები და სიმღერები არასდროს წყდება. ეს ის ადგილია, სადაც ყველა ბედნიერია, ყველა ხალისობს და ულიმის ხვალინდელ ლამაზ დილას.

ამ ულამაზესი დაწესებულების დიდი დიასახლისი **ნატო მახარაძე-ჯალაღანია**, ქუთაისის 35-ე სკოლის აღზრდილია. იგი ქვეყანას უზრდის თავის შვილებთან – **თამართან** და **შოთასთან** ერთად ნამდვილ მამულიშვილებს.

ქალბატონ ნატოს დამთავრებული აქვს პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტი, მუშაობდა 140-ე საჯარო სკოლაში ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად. იგი პროფესიით ფილოლოგია. შვიდი წელია ამ ბაგა-ბაღის დირექტორი გახლავთ. თანმიმდევრულად და მოწესრიგებულად მიმდინარეობს ბაღში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, ნაყოფიერად, შედეგიანად. მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ბაღის ადმინისტრაცია მადლობას უხდის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს. იმ შრომისთვის, რომელიც მან გასწია ბაღის ტექნიკური მხარის მოწესრიგებისთვის.

დირექტორის მოადგილე **როზა ჭილლაზე** ბევრს აკეთებს პატარების საკეთილდღეოდ.

ბაღში ჰყავთ უნარშეზღუდული აღსაზრდელები, რომელთა მიმართაც განსაკუთრებულ ყურადღებას და სითბოს არ იშურებს ბაღის ადმინისტრაცია. გასულ წელს სკოლაში გააცილეს 45 პირველკლასელი.

ბაღში აღმზრდელობით პროცესს უძღვებიან: **ელზა უგრეხელიძე**, **ქეთევან ბაზაძე**, **ნინო ონიანი**, **თეა კარტოზია**, **მადონა მღვდლიაშვილი**, **ირმა დალაქიშვილი**, **ხათუნა რომელაშვილი** და **გიული ქვლივიძე**. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქალბატონი **ზიზი ჩოხელი**, რომლის დამსახურებაა ბაღის მოლამაზებული და მოხატული კედლები. ზიზი არის შესანიშნავი მხატვარი, რომლის ხელიც მართლაც ატყვია მთელ ბაღს.

აღმზრდელთა თანაშემწეები სიყვარულით, სითბოთი და მოწიწებით ეკიდებიან თავიანთ აღსაზრდელებს. **გვანცა ტაბატაძე**, **მაია ლეჟავა**, **ნინა ზულიაშვილი**, **ლია ფირანიშვილი**, **ნანა კაჭარავა** მონდომებით მუშაობენ.

საბავშვო ბაღის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის ბევრს ზრუნავენ საქმის მწარმოებლები **მარინე ფხალაძე** და **მაია მეტრეველი**, მეთოდისტი – **ეკა ბეგიაშვილი**, ლოგოპედი – **ლალი ზანგალაძე**, ექთანი – **ხათუნა ომანაშვილი** და მნე ქალბატონი **ნათელა ჯალაღანია**, რომელიც მართლაც და ყველანაირად გამოირჩევა პატარების მიმართ სიყვარულით და ყურადღებით.

ბაღის აყვავებისთვის ძალისხმევას არ იშურებენ და თავიანთ საქმეს პირნათლად ასრულებენ: **თეა ქორჩიაშვილი**, **შორენა ბუზალაძე**, **ირინა დალინკევიჩი**, **თამარ ტონია**, **ვაჟა დოლიძე**, **ვაჟა ფარსაღაშვილი**, **იური ხუციშვილი**.

პატარებს გემრიელი საკვებით უმასპინძლდებიან **მარიამ გეჯაძე** და **მზია ბროლაძე**. პატარები აქტიურები არიან, ეუფლებიან ხელოვნებას. ბაღში მოცეკვავეები და მომღერლები ბლომად ჰყავთ.

ცეროდენების მუსიკალური უნარის, ნიჭის განვითარებისთვის ბევრს შრომობს პედაგოგი **მანანა კოკაია**, რომელსაც ბევრი პერსპექტიული მომღერალი ჰყავს. **კესო კვინიკაძეს** ყველა იცნობს. ნიჭიერთა შორის არიან: **ნია გაბაძე**, **ნინო** და **ნუკა კოკოზაშვილები**, **დიანა კუციბაშვილი**, **გიორგი ჩიქოვანი**, **ანასტასია ჩუბინიძე**, **ნიკოლოზ ლილუაშვილი**, **ნიკოლოზი ფუხაშვილი**, **ანასტასია გულუა**, **ლიზი ცუცქირიძე**. ჰყავთ მოცეკვავეები: **თეკლა გენებაშვილი**, **მარი კიკნაძე**, **ნინო ოქიტაშვილი**, **ელენე ჭუმბურიძე**, **სალომე ანთელავა**, **ანა მაკასარაშვილი**, **ანი ფირანიშვილი**, **ბარბარე მაჭარაშვილი**, **თეკლა ბოჭორაშვილი**, **გიორგი გუგავა**. ნორჩი მხატვრები არიან: **სანდრო ნიონაკაშვილი**, **ანი გაბუნია**, **ლიზი გოგელიშვილი**, **ნიკოლოზი მაღრაძე**, **თათია თაბაგარი**. მხატვრულ კითხვაში გამოირჩევიან: **ნია გაბეშია**, **ნიკა ტუხაშვილი**, **ნინო ვაშაძე**. ტანვარჯიშით დაკავებულნი არიან: **ნინო სამშიანი** და **ლიზი ბარელაძე**. აქტიურები გახლავთ **ანდრია ბუთიკაშვილი**, **დაჩი ჩიქობავა**, **მარიამ ურიდია**, **თორნიკე თაბუკაშვილი**, **ალექსანდრე გენებაშვილი**.



იუმორის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებიც ბლომად არიან. მაგალითად, **გიორგი** და **თემური მირცხულავები**, **ილია კვარაცხელია** და სხვები.

ბოლოს კოლექტივი მობილიზებულია რომ სკოლაში კარგად მომზადებული, პატრიოტული სულის მომავალი თაობის ღირსეული ნაკადი აღზარდონ. ყველა დარწმუნებულია, რომ ისინი სასახელოდ გააგრძელებენ სწავლას ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ.

მადლობა ბაღის პედაგოგიურ კოლექტივს ასეთი სიყვარულისა და ზრუნვისთვის, რომელსაც ისინი იჩენენ პატარებისთვის.

**ნანა ფიფია**

---

**სალამი 173-ე ბაგა-ბაღელებო!**

# მოდი, მოდი, გაზაფხულო!



**მუხიანში** მდებარეობს ცეროდენების საყვარელი 173-ე ბაგა-ბაღი. იგი გამოირჩევა თავისი ესთეტიკურობით. პატარებზე მზრუნველობით, აღმზრდელთა ძლიერი გუნდით. აქ იწრთობა პაწიების სული. ყალიბდება მათი გონება, იკვალება საზოგადოებაში დამკვიდრების გზები. საოცრად მზრუნველი ხელები განაგებენ აქაურობას. ყველა კუთხე და კუნჭულში იგრძნობა პატარებისადმი სითბო და სიყვარული. დაწესებულებას სათავეში უდგას გამოცდილი პედაგოგი, საოცრად თბილი ადამიანი, ქალბატონი **მარინე ზაალიშვილი**.

ქალბატონი მარინე პედაგოგიურ ასპარეზზე მეტად ცნობილი და პოპულარული პიროვნებაა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სხვადასხვა დროს წარმატებულად მუშაობდა 177-ე საშუალო სკოლის დირექტორად, გლდანის განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ, შემდეგ – გამგედ.

გაგაცნობთ შემოქმედებითად მოღვაწე თანამშრომლებს: დირექტორის მოადგილე გახლავთ ქალბატონი **ნადეჟდა ყოჩიშვილი**. საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორია **ქეთევან კახაძე**, ფსიქოლოგი **მაია რამაზაშვილი**, ლოგოპედი **ცისანა კილაძე**, სპეციალური პედაგოგი – **თამილა ქისტაური**. ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ამ ადამიანებს.

პატარებს თავს ევლება 16 აღმზრდელი და 15 თანაშემწე. დღეს და ღამეს ასწორებენ პატარებზე ზრუნვაში აღმზრდელები: **მზევინარ კასპელაშვილი**, **თამარ ქვლივიძე**, **ვალიდა მგალობლიშვილი**, **თინათინ თეგეტაშვილი**, **ციცინო ზაქარიაშვილი**, **ოლია გასიშვილი**, **ხათუნა ბუაძე**, **მაია გოგია**, **თამუნა ლეთოდიანი**, **ნანა მესხი**, **ნანა ქიმაძე**, **ხათუნა ჯიშკარიანი**, **მარინე წიკალური**, **ლამზირა მაზერიშვილი**, **თამარ ნარსია**, მათი თანაშემწეები: **ეთერ გოგილაშვილი**, **ეკა გახარია**, **ლეილა აბაშიძე**, **თამარ საბაური**, **ნათია გასიშვილი**, **ნატალია გორგაძე**, **ინგა ნოზაძე**, **მაკა ტატანაშვილი**, **ელზა მღებრიშვილი**, **ნათელა ბექაური**, **ლია ბარუაშვილი**, **მაკა სამხარაძე**, **ლალი ლომსაძე**, **ნუნუ ნათენაძე**, **მაყვალა ესართია**, **მარიამ ჯანიაშვილი**. ამ ადამიანების ერთობლივი შრომა ისახება აღსაზრდელების გაცისკროვნებულ თვალებში და ღიმილში. ისინი სიხარულით შესციცინებენ და მშობელ დედასთან აიგივებენ თითოეულ აღმზრდელს.



ბაგა-ბაღში კეთილმოწყობილია სპეციალური დასასვენებელი ოთახი, სადაც პაწიები ბალიშებზე წამოკოტრიალებულები უყურებენ მულტფილმებს დიდ ეკრანზე, სადაც სხვადასხვა ლამაზი გასართობი პროგრამებია. საინტერესოდ აქვთ მორთული დერეფნები, ოთახები, ძალიან მიმზიდველი და სასიამოვნო გარემოში უწევთ პაწიებს ყოფნა, სწავლა და თამაში. მათ ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის ის ღონისძიებები, რომლებსაც ატარებენ აქ. ეწყობა კარნავალები, გამოსაშვები კონცერტები, ტარდება მხატვრული კითხვის კონკურსები, ერთი სიტყვით ძალიან საინტერესო გარემოა. ბაღს მიღებული აქვს უამრავი სიგელი და დიპლომი. ბაღში აქვთ შესანიშნავი სპორტული დარბაზი. ბავშვების ჟრიამული მუდამ აყრუებს აქაურობას. უნიჭიერესი თაობა მოდის, ხელოვნების ყველა დარგს ჰყავს ამ ბაღში პერსპექტიული აღსაზრდელი. აი, პაწია მომღერლები: **ნანალო ყეინაშვილი**, **ელენე მინდიაშვილი**, **მარი ჭუმბურიძე**, **დათო ჯაშიაშვილი**, **ანა კაკაურიძე**, **მარი ფანქველაშვილი**, **ნანი კეკვიაშვილი**, **მარი ბაცანკლიშვილი**, **ანა სტეფანიშვილი**, **თინიკო ქოიავა**, **ქეთი ზოზიაშვილი**, **თიკო სამქანაშვილი**, **მარი მიგინეიშვილი**, **ლიზი ყეინაშვილი**, **ლიკა ქუქრიშვილი**, **თამარ ბუკია**… მუსიკის პედაგოგი გახლავთ ქალბატონი **მარიამ სიფრაშვილი**. პატარებზე ზრუნავს ცეკვის პედაგოგი – **ჯანო თითირაშვილი**,

ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნავს გამოცდიდლი ექთანი **თამარ კრაველიძე**, პაწიების სრულფასოვან და ჯანსაღ კვებას ემსახურებიან მზარეული **ნინო მინდიაშვილი** და მისი თანაშემწეები **ანა გაგნიძე**, **ნინო მაისაშვილი**, **თამარ ბორცვაძე**, საქმის წარმოებას უძღვება **ნათია ზაქარიაშვილი**.

პედაგოგების კოლექტივი და ადმინისტრაცია მადლობას უხდის მერიის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსს **თემურ თორდინავას** და გლდანი-ნაძალადევის გამგეობის, მაჟორიტარ დეპუტატს **ქეთევან კობახიძეს** ცეროდენებზე ზრუნვისათვის.

აქტიურობით გამოირჩევიან ცუგრუმელები: **ანასტასია კალანდაძე**, **გიორგი ლეფსაია**, **ელენე ალიმბარაშვილი**, **დაჩი ჭუმბურიძე**, **მედეა ჩიხრაძე**, **ბარბარე ენუქიძე**, **ნანუკა შუბითიძე**, **სერგი მამუკაშვილი**, **მათე მიქიაშვილი**, **გიორგი ქერაშვილი**, **ანა მეგრელი**, **ლაშა ჯანანაშვილი**, **ანა სტეფანიაშვილი**, **დათა კარგიევი**, **ქეთი ზოზიაშვილი**, **თიკო სამქანაშვილი**, **ვანო გურგენიძე**, **დათა ჯარიაშვილი**, **მარიამ ფანქველაშვილი**, **ანა გოგსაძე**, **საბა პაპიაშვილი**, **ლუკა მელაშვილი**, **ლუკა თანდაშვილი**, **მარიამ ბუთხაშვილი**, **დათო მაისურაძე**, **ანასტასია ხუჯაძე**, **ქეთი ზირაქაშვილი**.



მოდის დედებისა და ქალთა დღე – 3 მარტი. მოდის გაზაფხული. ყველა ამ ზეიმს გილოცავთ 173-ე ბაგა-ბაღელებო.

**მარინე მირცხულავა**

„წარსულისადმი ნდობა, პატივი...“

# არ დავივიწყოთ ნიკო შველიძე!



**ხალისიანი**, იუმორის ნიჭცხებული და უცნაური კაცი იყო ჩვენი რედაქტორი, ზოგჯერ ჯიუტი და თავნათქვამა. მოკლედ უნდა გავაცნო იგი ახალ თაობას. **ნიკო შველიძე**. იგი მეოთხედი საუკუნე გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი გახლდათ, უფრო ადრე კი იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგს“ რედაქტორობდა. კიდევ უფრო ადრე დიდი სამამულო ომის მონაწილე გახლდათ, შემდეგ – თბილისის მე-4 საშუალო სკოლის პედაგოგი, მერე – ცეკას ინსტრუქტორი – რაინდივით ვაჟკაცი, წარმოსადეგი, მხარბეჭიანი ლომის ფაფარივით დაყრილი თეთრი თმით. მექოთნეთა სოფელ შროშიდან იყო და ხშირად იტყოდა: შროშის ქოთანში ამოლესილი ლობიო ინდაურის ხორცს მირჩევნიაო.

მოლხენა უყვარდა. მხიარულ გუნებაზე დამდგარი ე. ი. შეღვინებული ფართო ქამარში ცერა თითს ჩაიყოფდა და ეშხიანად მღეროდა იმერულ სიმღერას: „იქნება რამე გეწყინა, იქნება რამე წამომცდა, ხომ აღარ მძულხარ, მიყვარხარ, ერთხელ გაკოცე, რა მოხდა?“

ნიკო ხშირად იტყოდა, იმ წელს დავიბადე, როდესაც საქართველოში არაფერი საყურადღებო არ მომხდარაო. ეს წელი კი 1915 იყო. და სწორედ ამიტომ მინდა მოვიგონოთ ჩვენი ნიკო, ჩვენი დიდი რედაქტორი, რომელიც წელს 100 წლისა გახდებოდა. 90-ს იოლად გადააბიჯა, თუმცა (ეს სენი მაღალ კაცებს მუდამ ემუქრებათ) ბოლო დროს ნამგალა მთვარესავით მოხრილი დადიოდა.

ჩვენთან რედაქტორობის დროს მშვენიერი იუმორისტული წიგნი „ნათლია“ გამოსცა, პატარა იუმორისტული ნოველებისგან შემდგარი.

ნიკოს შემდეგ რედაქციაში ალი და კვალი ნიკო – **გელა ნატროშვილი** მოვიდა. სიცილით კვდებოდა **ჯუმბერ ჩიქოვანი**: პატარა ნიკო მოვიდაო.

ნიკოს ძალიან უყვარდა ჭადრაკი. ისე მოუნდებოდა თამაში, როგორც მშიერს – საჭმელი, მაგრამ რედაქციაში სუსტი მოთამაშეები იყვნენ: **ნოდარ პაპკიაური**, **მურმან თავდიშვილი**, **ბეგო მუჯირიშვილი**. მათ იოლად ამარცხებდა და ამიტომ მათთან თამაში არ აინტერესებდა. იქვე გვერდით მთავლიტში (ცენზურაში) მუშაობდა ჩემი მეგობარი **ტიტე ხუხუა**. მას უთქვამს ჩემზე, მაგარი მოთამაშეაო.

სამუშაოს შემდეგ მიხმო, მეთამაშეო. სხვაგან მეჩქარებოდა, მაგრამ უარს როგორ ვეტყოდი. თამაშს უყურებდა ნიკოს მეგობარი, „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ რედაქტორი **გოგი ჩაგელიშვილი**. პირველი პარტია ადვილად მოვუგე. ბრაზი არ შეიმჩნია. მეორეს რომ აგებდა, ფიგურებს ხელი კრა და გადაყარა.

კაბინეტიდან რომ გამოვდიოდი, გოგიმ მითხრა: შეცდომა დაუშვიო. – როგორ, ბატონო გოგი, შეცდომა კი არა, მოვიგე-მეთქი.

– სწორედ ეს არის შეცდომა, უფროსს არ უნდა მოუგოო.

გავითვალისწინე. შემდეგი თამაშისას „უნებურად“ წავაგე. ო, როგორ გაიხარა. აზარტში შევიდა და თითქმის ყოველდღე რედაქციაში გვიანობამდე ვრჩებოდით.

ერთ დღეს ადრე წავედი რედაქციიდან. მოვუკითხივარ, – სამსახურიდან გავაგდებ, უჩემოდ როგორ გაბედა წასვლაო, – გადმომცეს მეორე დღეს **ვალიკო სიმონიშვილმა** და **კაკო ჯიქიამ**.

გაზეთის დაგეგმვაზე შევიკრიბეთ. ძალიან აქტუალური წერილი მქონდა სასკოლო თემაზე. გვერდზე გადადო. ეხვეწნენ **ვასო ბაიაძე** და **ალიკა ასლანიშვილი**, საჭირო მასალაა და გავუშვათო. გაჯიქდა.

ვზივარ მოწყენილი მარტო. ყველა წავიდა. სანამ ზუსტად 6 საათი არ შესრულდება, წასვლას როგორ გავბედავ.

თეთრი თავი შემოყო, წამო ვითამაშოთო. ვხედავ, ჩემი წერილი გვერდზე ოზოლივით აგდია. ლაზიერი „შეცდომით“ წამგებიან უჯრაზე დავსი. სიხარულით ცას ეწია. ჩემი წერილი წამოაცოცა და დაგეგმილ მასალებს შორის ჩადო: განა იმიტომ გაგიბრაზდი, რომ ადრე წახვედი, თამაში მინდოდაო.

პირველ სექტემბერს სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით ერთმა მეგრელმა პედაგოგმა დაგვპატიჟა. სუფრას არაფერი აკლდა, იყო შებრაწული გოჭიც. აკლდა მხოლოდ ტყემლის საწებელა. – უტყემლოდ გოჭი რას ვარგაო, – შენიშნა ნიკომ. მასპინძელი არ დაიბნა: ტყემლით არის გაზრდილი, **პატენი**, მთელი ზაფხული ჩამოცვენილ ტყემალს ჭამდაო.

ჩემს ქალიშვილ ქეთინოს „რიტუალების სახლში“ ოქროს მედალი განათლების მინისტრმა **ნათელა ვასაძემ** გადასცა. ამის აღსანიშნავად „პატარა პურ-მარილი“ მოვაწყვე, მყავდა **ნოდარ პაპკიაური**, **გენადი სანაია**, **კაკო ჯიქია**, **მიშა მჭედლიძე**. მალე ნიკო მობრძანდა შავი „ვოლგით“, მძღოლ **ბესო უნგიაძითურთ**. თამადობდა **ტიტე ხუხუა**. ისე ჩანდა, რომ ნიკოს სუფრიდან ადრე ადგომა უნდოდა და საბაბს ეძებდა. და აჰა, საბაბიც, ტიტემ დედისა და დიასახლისის სადღეგრძელო შორიდან, შუშანიკიდან წამოიწყო.

უსმინა, უსმინა ნიკომ, – სანამ მეოცე საუკუნემდე მოხვალ, შემოგვათენდებაო, – ადგა, ბოდიში მოგვიხადა და წავიდა.

კიდევ ბევრი მაქვს ნიკოზე მოსაყოლი. ყველას გვიყვარდა ჩვენი დიდი რედაქტორი, ბატონი **ნიკო შველიძე**.

**ბორის მიშველაძე**

# დავხვეწოთ და სრულვყოთ!

**ორი** თვე სრულდება, რაც გამოიცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №167/ნ **„მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესახებ“**. ბუნებრივია, მან პედაგოგიური საზოგადოების დიდი დაინტერესება გამოიწვია. ამ დადგენილების უფრო სრულყოფის მიზნით გთავაზობთ განათლების დარგის რამდენიმე მუშაკის შენიშვნა-მოსაზრებებს.

***

**გოჩა გურგენიძე** (საქართველოს პედაგოგთა უფლებების დაცვის კავშირის პრეზიდენტი).

**სკოლა** უფრო ზნეობრივი კატეგორიაა, ვიდრე სამართლებრივი. ამიტომ უნდა ვერიდოთ ზედმეტ ადმინისტრირებას სკოლის საქმიანობაში.

განათლების სამინისტრომ უნდა განუმარტოს საზოგადოებას, თუნდაც დაგვიანებით, რამ განაპირობა დღევანდელ დაძაბულ სიტუაციაში აღნიშნული ბრძანების ამოქმედების აუცილებლობა. ან 2015 წლიდან 10 ათასი ლარის ეკონომიის მიღების მიზნით, რატომ უნდა დავითხოვოთ სკოლიდან 55-60 წლის ათასობით პედაგოგი?

ბრძანებაში არ ჩანს დისციპლინური სახდელის დასაკისრებელი პედაგოგი, ესწრება თუ არა დისციპლინარული კომიტეტის სხდომას. თუ ესწრება, რატომ არ არწმუნებს მას სადამსჯელო კომიტეტი სასჯელის სამართლიანობაში და რატომ ანიჭებს ამ ფუნქციას სკოლის დირექტორს?

დისციპლინარულ კომიტეტს მასწავლებლისათვის დისციპლინარული სახდელის დაკისრების ან უარის თქმისთვის, 3 კვირის ვადა საკმარისი არ არის, სულ ცოტა ერთი თქვე მაინცაა საჭირო.

**მაია მღვდელაძე** (თბილისის 108-ე საჯარო სკოლის დირექტორი).

დისციპლინარული კომიტეტის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შევიდეს პედაგოგი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე, აქამდე დისციპლინური კომიტეტის მოწვევა ხდებოდა მხოლოდ განსაკუთრებული და რთული საქმეების განსახილველად, სხვა შემთხვევაში პედაგოგთა დისციპლინური გადაცდომის საქმეებს იხილავდა სკოლის დირექტორი.

ახალი წესით პედაგოგთა მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი ხდება მოსწავლის მიმართვა, რაც არ მიმაჩნია მიზანშეწონილად.

გასათვალისწინებელია ცვლილებები, თუ სკოლას ვანდობთ დირექტორის არჩევას, მასწავლებლების არჩევას, ჩვენი შვილების განათლებას, მოდით, მივანდოთ ის პროცედურებიც, რომლებიც მასწავლებლების ქცევას გააკონტროლებს.

ჩვენი აზრით, პედაგოგის საქმეები მოსწავლეების, მშობლებისა და პედაგოგებისგან შექმნილმა კომისიამ არ უნდა განიხილოს, რადგან ეს პედაგოგიკის საფუძვლებს არღვევს. პრობლემები კი დირექტორმა კონფიდენციალურობის დაცვით უნდა მოაგვაროს, რადგან სკოლაში სიწყნარე, სიმშვიდე და კეთილგანწყობა უნდა სუფევდეს.

მიუღებელია ტერმინი მასწავლებლის სამართლებრივი დევნა. სკოლაში გადაცდომის განხილვისა და მასზე ობიექტური რეაგირების მიზნით მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რაც სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას ზღუდავს.

მოსაწონია, რომ ყველა რეგულაცია ერთგვარი დამცავი მექანიზმია მასწავლებლის მიმართ ობიექტური, გამჭვირვალე, სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

ვთვლით, ეს ახალი წესი ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია. გამომდინარე იქიდან რომ, თუ ცვლილება გააუმჯობესებს რეაგირებას პედაგოგთა მიერ ჩადენილ დისციპლინარულ დარღვევებზე, ეს მოსწავლეებზე ყოველმხრივ დადებითად აისახება. ასევე მიგვაჩნია, რომ ეს ცვლილება სტიმულს მისცემს სკოლებში ამ მნიშვნელოვანი სტრუქტურის დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის გამოცოცხლებას.

**ირმა ომანაძე** (თბილისის 166-ე საჯარო სკოლის დირექტორი)

ჩემი აზრით, მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესი უნდა ეხებოდეს ასევე კერძო სკოლის მასწავლებლებსაც.

სამართალდამცავი სტრუქტურების დადასტურების გარეშე სკოლის დირექცია არ არის უფლებამოსილი პედაგოგს დააკისროს დისციპლინური სახდელი.

გასაგებად უნდა განიმარტოს, თუ რას ნიშნავს მასწავლებლის მიერ სასკოლო დროისაგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ ჩადენილი ქმედებებისას „სკოლას აქვს დასაბუთებული ინტერესი“.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი თანაბარი რაოდენობით. რამდენად მართლზომიერი და „ეთიკურია“, მოსწავლემ მიიღოს გადაწყვეტილება მისი მასწავლებლის დასჯის შესახებ? ობიექტური და სამართლიანი იქნება იგი?

მხოლოდ წერილობითი მიმართვა უნდა იყოს დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი, ამასთან ერთად უნდა ხდებოდეს მომჩივანი პირის იდენტიფიცირება (გამოირიცხოს ანონიმური ინფორმაცია).

მიუღებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციაზე კონტროლი და პასუხისმგებლობის დაკისრება არის თუ არა კონსტიტუციით მინიჭებული სიტყვის თავისუფლებისა და გამოხატვის ნების უფლების წართმევა?

დისციპლინური წარმოების დაწყების ხანდაზმულობის ვადის ათვლა, „სამი წელი“ მეტისმეტად დროში გაწელილია.

მოამზადა
**რომან მოსეშვილმა**

P.S. შემდეგ ნომერში გავეცნობით პედაგოგთა მოსაზრებებს

## გიორგი ლეონიძე

## დედა ენა

წიგნი ჩვენი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული!

დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი
მგალობელი ფრინველი.

იავნანის ნიავში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი მაისმა.

ტკბილად რომ გაგვიხარა
ჩვენ ბავშვობა ბეჩავი –
შავი კაბით გაზრდილებს,
გახუნებულ ლეჩაქით.

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული.



# „სიქას" პროექტები – პრაქტიკულად

**საგანმანათლებლო** ინიციატივების ქართული ასოციაციის პროექტის ფარგლებში დღითიდღე აქტიურდება ქვემო ქართლის რეგიონის შვიდივე რაიონის საგანმანათლებლო სისტემა, ყველა სკოლა და ყველა კლასი, რომელიც საგანს, სამოქალაქო განათლებას შეისწავლის. ზოგადად, „სიქამ" ბოლო წლებში არაერთი პროექტით ბევრი მოსწავლე და მასწავლებელი დააინტერესა, გამოავლინა მათი პოტენციური ინტელექტუალური შესაძლებლობები და შემოქმედებითი უნარები.

მორიგი ღონისძიება მორიგი პროექტის „მომავლის თაობის" ფარგლებში დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის რუსთავის სათაო ოფისში ჩატარდა,რაც მიზნად ისახავდა ოჯახური ძალადობის თემაზე ესეების კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეების გამოვლენას.

პროგრამა „მომავლის თაობა" სხვა უმნიშვნელოვანეს ამოცანებთან ერთად მიზნად ისახავს მოზარდთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების და შეხედულებების გამომჟღავნებას, მოქალაქეობრივი პოზიციის არჩევას, კრიტიკული განწყობის გამოხატვასაც,თუკი ეს საჭიროა.

ესეების კონკურსში რეგიონის ასამდე ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. პუბლიკაცია შეიქმნა ქვემო ქართლის რეგიონის სკოლების მოსწავლეების მიერ პროგრამა „მომავლის თაობის" ფარგლებში, რომელსაც ანხორციელებს PTL International, აშშ-ის საერთაშორისო სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.

„სიქა" – საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია წარმოადგენს პარტნიორს ქვემო ქართლის რეგიონში.

კრებულად აკინძული ბავშვთა ნაშრომები ყველა მონაწილეს გადაეცა. კონკურსის ჟიურიმ – საიას რუსთავის ფილიალის ხელმძღვანელმა **ეკა ფავლენიშვილმა**, რუსთავის ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელმა **სოფო ხუციშვილმა** და საერთაშორისო ჩართულობის ცენტრის კოორდინატორმა **ლიანა ჩარკვიანმა** ხალხმრავალ აუდიტორიას გააცნეს გამარჯვებული მოსწავლეები. ოჯახური ძალადობის თემაზე დაწერილი ესეებით გამარჯვებულნი გახდნენ თეთრიწყაროს სოფელ ბოგვის საჯარო სკოლის მე-12 კლასელი **ბადრი პოილარაშვილი**, ამავე სკოლის მე-12 კლასელი **დავით ხენიაშვილი**, რუსთავის კერძო სკოლა „რეცას" მოსწავლე **ცოტნე გელოვანი**. გამარჯვებულნი დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით. ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი.

,,სიქას" აღმასრულებელმა დირექტორმა **ინგა პაიჭაძემ** ყველა მონაწილეს კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ პროგრამა „მომავლის თაობა" ხელს უწყობს სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამის გაძლიერებას სკოლებში, მოსწავლეების მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა პროფესიულ ზრდას.

## რუსთავის სათაო ოფისში

ეს პროგრამა 2014 წლის სექტემბრიდან დაიწყო და 2016 წლის ივნისამდე გაგრძელდება, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს საკუთარი ინიციატივებით თვითონაც მოიწონონ თავი და სკოლაც წარმოაჩინონ.

„მომავლის თაობის" პროგრამის ფარგლებშივე პროექტში ჩართული სკოლების მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის 17 თებერვალს ,,სიქას" უშუალო ინიციატივით ჩატარდა ფოტოგრაფიის ტექნოლოგიის გაცნობისა და შესწავლის ლექცია-სემინარი, რომელსაც დაესწრნენ კერძო სკოლების „ჩირაღდანის", „რუსთველის" „მზეკაბანის", მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის თავჯდომარემ **კახა ფხაკაძემ** და ამავე ასოციაციის გამგეობის წევრმა **ნინო მღებრიშვილმა** უჩვეულოდ მაღალ დონეზე ჩაატარეს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა ფოტოაპარატის შესაძლებლობების, ფოტოგრაფიის ტექნოლოგიის და სხვა საკითხების შესახებ. ღონისძიების მონაწილე მოსწავლეებმა თავიანთი ფოტოკამერებით ადგილზევე გადაიღეს ფოტოები და დააფიქსირეს შესწავლილი.

პროექტი „მომავლის თაობა" ამიერიდან სწორედ მოსწავლეთა მიერ გადაღებული ფოტოებით ასახავს ჩატარებულ ღონისძიებებს და ისიც შესაძლებელია, რომ ამ ღონისძიებამ ზოგიერთს სამომავლო პროფესიად ფოტოგრაფია აარჩევინოს.

ღონისძიების ორგანიზებას „სიქას" აღმასრულებელი დირექტორი **ინგა პაიჭაძე** და კოორდინატორი **ანი ციცქიშვილი** უძღვებოდნენ.

პროექტი გრძელდება აშშ-ის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.ქვემო ქართლის რეგიონის სკოლები აქტიურად მონაწილეობენ მასში კონკრეტული მოსაზრებებითა და ინიციატივებით.

**ლია მარტაშვილი**

# პედაგოგის პოეტური პალიტრა

## ლამარა ჭაქაიძე

### მარტოობის ჰიმნი

მარტოსულო, მარტოხელავ, კეთილო,
ოთხკედელში ცოცხლად გამოკეტილო,
მამის სახლ-კარს ძალით ამოკვეთილო,
უცხოობით წელში გადაწყვეტილო.

მთა-მთიულეთს სახლ-კარ-გამოკეტილო,
უცხო კერას ბარში ვერდანერგილო,
გაუგებარ ძალებს შეჭიდებულო,
ცას და მიწას შორის დაკიდებულო!

ავი დროის ქარბორბალამ გატარა,
ჯოჯოხეთის ცეცხლში გამოგატარა,
თავს დაგემხო საქათ ძირტკბილი,
ქმრის ღალატი, ძვირფასი ძმის სიკვდილი!

მარტოსულო, მარტოხელავ, ეულო,
მტკიცე ქალო, ავად არ წაქცეულო,
ეგრე იყოს, ბრძოლა გიჯობს ამ შვებას,
სიკვდილის პირს ყველა მარტო დარჩება!

### არწივის სიკვდილი

კვდება მიუვალ კლდის თავზე,
მკერდდალეწილი არწივი,
ბრჭყალს ვეღარ უწვდენს მიწაზე,
ბორგავს, ფრთასა სცემს, არ წივის.

უფსკრულს ჩახედავს ბოლმიან,
ცის ლაჟვარდს ეძებს, ბნელია!
იბრძვის, არა სთმობს სიცოცხლეს,
არწივის ბედი ძნელია!

კლდეს სილამაზე აკლდება,
მთას – ძალა თავის შვილისა,
გლოვობენ წასვლას ძლიერის,
ლაღისა, ფრთაგაშლილისა.

– კლდეებო, ჩემს შვილს მიხედეთ,
მართვე რომ დამრჩა ბუდეში,
ეგეც არწივი იქნება,
თქვენი მომავლის ნუგეში!




### ქართული ენა

მეფე, მეუფე, უფლება, ფლობა,
დაუფლება და დაუფლებული,
ხელის უფალი, თავის უფალი,
– აზრი სიტყვაში ჩადუღებული!

„მარხვა", „დამარხვა", „დაფლვა", „საფლავი",
„დიდი", „დიდება" და „დიდებული".

ზე ცა, უფალი, სკნელი, ქვესკნელი...
– რა გენმა შექმნა ენა ქართული!

### გლობუსი

გლობუსს ვატრიალებ ამ გაბუშტულს,
მერიდიანები დარბიან;
იქ, ორ ზღვას შუა ჩემი სამშობლოა,
თვალებს გავადევნებ დარდიანს.

ცა-მიწავ, არაფერი აურიო,
ფრთხილად იტრიალე, სანატრელო,
ისე არა ჰქნა, გაუტიო და
რუკიდან მოისროლო საქართველო!

### უძილობის ღამეები

გაცრეცილი ღამე და
დაფლეთილი ფიქრები...
იქით – ძველი კარადა
მტვერწაყრილი წიგნებით.

მოფუთფუთე სიტყვები,
როგორც სხვისი ბალღები,
გულის ფეთქვა რიტმული,
დაჭიმული ძარღვებით...

ეს ერთი დღეც გავიდა,
ღამემ ფარდა დაუშვა,
მთვარეული ლანდები
სალაცეცოდ გაუშვა...

მთვარემ დასხა კედელზე
ვერცხლისფერი ფიქრები,
სადაც წუთებს საათი
ითვლის მუქი ისრებით.

არადა არ თენდება!
დრო საათის ფიქრია...
უძილობის წუთები
თვალებლია მიჭქრიან...

# შეხვედრა ემიგრანტყოფილ მასწავლებელთან



**ამ** მონათხრობში არაფერია შელამაზებული. საქართველოს ბედუკუღმართობით 20 წლის განმავლობაში სამშობლოდან გადახვეწილი პედაგოგის **ნანა გაბელაიას** ბიოგრაფია ათასობით იმ ქართველი ქალის ბიოგრაფიაა, რომლებიც საკუთარ თავს ბედნიერ უბედურებს უწოდებენ და ენით გამოუთქმელ ტკივილს ოდესღაც აქეთ რომ მობრუნდებიან, იმათ იშუშებენ.

...და ის დაბრუნდა. ოცი წლით ასაკმოძალებული, შრომით გადაღლილი, ფიქრებით და ემოციებით სავსე. ბევრი არაფერი წამოუღია საბერძნეთიდან იქ დაწერილი ლექსებისა და ერთი მომცრო პოეტური კრებულის გარდა. ეს მისთვის ყველაფერია. ალბათ, ჩვენთვისაც, რადგან **ნანა გაბელაიას** პოეტური სტრიქონები და სივრცე სტრიქონთა შორის გულწრფელი ცრემლითაა გაჟღენთილი, რაც ყველამ უნდა გავითავისოთ. ასეთ წიგნებს ავტორთა პროტესტის ნიშნითა და განწყობით აღბეჭდილს, „ძლიერნი ამა ქვეყნისანიც“ უნდა კითხულობდნენ უმუშევრობის პრობლემის ღრმად გასაანალიზებლად, სხვათა ტკივილის გულის გულამდე მისატანად და დასკვნების გამოსატანად, მაგრამ...

აბაშის რაიონში დაბადებულმა, დაამთავრა რუსთავის მე-15 საშუალო სკოლა, შემდეგ უნივერსიტეტდამთავრებული ფილოლოგი **ნანა გაბელაია** რუსთავში ჯერ მასწავლებლად, მერე განათლების სამმართველოში – მეთოდისტ-ინსპექტორად, ხოლო მოგვიანებით მე-8 სკოლის დირექტორად მუშაობდა, იყო საზოგადოების აქტიური წევრი, მუდმივად ბეჭდავდა პუბლიკაციებს პერიოდულ პრესაში.

მან საქართველო 90-იან წლებში დატოვა და საბერძნეთში წასული ე. წ. ეკონომიკურ ემიგრანტად იქცა. შვილების, ოჯახისა და სამშობლოს მონატრებამ დეპრესიაში ჩააგდო, მაგრამ საკუთარ თავს მოერია, დაუღალავი შრომით გადაიტანა წლები და ყოველდღიურობასთან შერიგებულმა იქ მყოფ თანამემამულეებთან ერთად გაუძლო ბედისწერის ჭირ-ვარამს.

„ბიზანიუ-12“, ერთხანს ამ მისამართზე მცხოვრებ საოცრად სათნო მოხუცს ბერძენ ლორას უვლიდა, ამჯერად მადლმოსილებით და არა მხოლოდ ანაზღაურებისათვის. ძილის წინ მუდამ ლოცულობდა, სულიერების გადარჩენისათვის ღმერთს ავედრებდა საკუთარ თავს და მოხუცის ჯანმრთელობასაც. სასწაულიც სწორედ ამ სათნო მოხუცის სახლის იდილიურ გარემოში მოხდა. ემიგრანტმა ლექსების წერა ძალდაუტანებლად დაიწყო და სულიერი ტკივილების დასაყუჩებლად პოეტურ სახეებსა და სტრიქონებს შეეჭიდა.

ნ. გ. ...აქ დავბრუნდი და გული ისევ მტკივა. გულწრფელობა, უშუალობა და სიყვარული ბერძნების დამახასიათებელი თვისებაა. მათ ერთმანეთი ძალიან უყვართ და თავისიანს ადვილად არ იმეტებენ. პატივს სცემენ და აფასებენ საქართველოდან ჩასულ მაღალზნეობრივ ქართველებსაც. ეგ არის, საქართველოს და ქართველ ერს ჯეროვნად ვერ იცნობენ, გასაკვირი კია, ჩვენი ქვეყნების ისტორიული კავშირი ჯერ კიდევ არგონავტებიდან მოდის.

აქეთ მომავალი ვფიქრობდი, რომ უკეთეს საქართველოში დავბრუნდებოდი, პრობლემები აღარ დამხვდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისევ მასიურად მიდის ქართველობა საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად, ისევ პრობლემები აქვს ერს... კითხვა – ვინ შეუცვლის ჩვენს მოზარდებს დედას, მამას, ბებიას და ბაბუას, რომლებიც საზღვარგარეთ მიდიან საარსებო წყაროს საშოვნელად, გულს მიკლავს და ძილს მიფრთხობს. საკუთარ თავზე გამოვცადე, რას ნიშნავს, შვილებთან განშორება.

მტრად მოსულმა შაჰ-აბასებმა და თემურ ლენგებმა იმდენი ვერაფერი დააკლეს ქართველობას,



რაც ახლა სჭირს საქართველოს. ქართველი ქალი, დედობით გამორჩეული, უდიდეს წინააღმდეგობაშია ჩავარდნილი, შვილების ბედნიერებისათვის, შვილიშვილებზე ზრუნვისათვის შვილებისაგან და შვილიშვილებისაგან შორს მიდის, რა ფული აანაზღაურებს განშორების ამ ტკივილებს... ქართველი ქალისათვის იმაზე დამამცირებელი რა უნდა იყოს, რომ საკუთარი სამშობლოსაგან განწირული უცხო ტომის ადამიანებთან ყოველგვარ დამამცირებელ სამუშაოს კადრულობს, ოღონდ აქ დარჩენილი ოჯახისათვის საარსებოდ რამე იშოვოს.

მთელი იქ ყოფნის მანძილზე, ყველაზე მეტად სკოლა და მოსწავლეები, ზარის ხმა მენატრებოდა, სიზმარში მოსწავლეთა ნაწერებს ვასწორებდი... გაზაფხულზე მერცხლების შემოფრენას ველოდი, მეჩვენებოდა, ჩემი დედულ-მამულის ეზო-კართან აჭიკჭიკდებოდნენ და გაზაფხულს მახარებდნენ...

ქართველ ემიგრანტებს ნუგეშად ათენში გამომავალი ქართული სათვისტომოს გაზეთი „ელადა“ გვქონდა. ამ გაზეთის გულისხმიერი და მაღალპროფესიონალი რედაქტორი **ანა ყურშავიშვილი** მართლაც საშვილიშვილო საქმეს აკეთებს, ქალაქ სალონიკში მისი მოადგილე **თამარ სოლოღაშვილია**, რომელიც ყველა ქართველ ემიგრანტთან მეგობრობს, ეხმარება, უბეჭდავს, ახლობელივით უდგას გვერდში, ამ გაზეთთან მუდმივად ვთანამშრომლობდი, ვბეჭდავდი პუბლიკაციებს და ჩემს ლექსებს. ამ გაზეთის გამომცემლებს ყველა ქართველი ემიგრანტის სახელით მადლობას ვუხდი და შემოქმედებით აღმასვლას ვუსურვებ.

მიუხედავად შორს ყოფნისა, ქართულ თანამედროვე მწერლობას, შეძლებისდაგვარად ვეცნობოდი, ზოგიერთი ვაი მწერლის გასაგონად მინდა ვთქვა, რომ მათ მიერ არჩეული გზა ის არაა, რომელსაც ქართველი გემოვნებიანი მკითხველი გაჰყვება ან მომავალი თაობები მათ ნაწარმოებებს ეზიარებიან.

## გამარჯობათ, რუსთაველებო!

აქ ჩამოსულ ემიგრანტებს: **მე, ლალი ყრუაშვილ-ღვთისიაშვილს**, **ლალი მჭედლიძეს**, **ნონა მორბედაძეს** – საქართველოს ქალთა საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის **ქეთევან გაბრუაშვილის** და ქვემო ქართლის ქალთა ასოციაციის თავმჯდომარის **ნარგიზი ტაბატაძის** და საბიბლიოთეკო ქსელის დირექტორის **თეა ჟვანიას** ინიციატივით ამ დღეებში გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს და მოგვცეს საშუალება ჩვენი ლექსებით მოვსიყვარულებოდით მონატრებულ თანამემამულეებს, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუხდით ამ მშვენიერი საღამოს ყველა მონაწილეს.

აი, ორიოდე ამონარიდი სტროფი **ნანა გაბელაიას** ლექსებიდან:

* * *

„ძველი მონასტრის
ხავსიან კედლებს
რა ვნებიანად
ეხვევა სურო...
ამ სიჩუმეში
დაისადგურე,
სასუფეველი იპოვე, სულო!“

* * *

„ბეთანიაში ეკლესიასთან,
ლურჯ ღიღილოებს
მე ვეკითხები...
- თამარის დროსაც
უხმოდ, ამაყად,
იდგნენ ეს მთები?“

რა თქმა უნდა, შეხვედრის საღამო იყო მეტად ემოციური და შთამბეჭდავი, „ეშხიანი და მომხიბლავი“.

**ნანა გაბელაიას** ბიოგრაფია საქართველოში შვილებთან და შვილიშვილებთან გრძელდება, სულით ხორცამდე პოეტური შთაგონებით სავსე ქალი კვლავაც გაახარებს მკითხველს ახალი ლექსების ახალი კრებულებით.

**ლია მარტაშვილი**




## ყველა ოჯახისთვის სამაგიდო წიგნი

გამოვიდა პედაგოგისა და მწერლის სამაგიდო წიგნი „ქართველ მეფეთა ქრონოლოგია“. ამჯერად მკითხველს მის შესახებ არაფერს ვეტყვით. მხოლოდ ვურჩევთ, წაიკითხონ და გაითავისონ. წიგნი მათ საქართველოს ისტორიაში ღრმად ჩაახედებს.

## პაროდიული აფორიზმები

***

მას დედის ძუძუ ტკბილი არაფრად შერგებია,
მასწავლებლის დახმარება ვისაც დაზარებია.

***

სწავლის ძირი მწარე არის, კომპიუტერში გატკბილდების?

***

რომ არ ვიწვალო წიგნებით ბევრი,
აგერ არ არის კომპიუტერი?

***

რაღა ჯობია თუ ვარდი, უეკლოდ მოიკრიფების.

***

წიგნის კითხვა ძნელი არის, კომპიუტერში იოლდების.

***

საქმის კეთებაა ძნელი, თორემ კრიტიკოსი ბაღდადიდანაც მოვაო.

***

ამერიკული ჭინჭები ურჩევნია მას მამულსა.

***

ბრაიზას, ბაროზოს, ბილდტს, ნავაროს თუ ფულეს,
გონს მოვეგოთ, ქართველებო, ნუ შევაჭმევთ ჩვენს ფულებს!

***

ბევრ დაპირებულს ცოტა შესრულებული ჯობიაო.

**კინდღელი**

# კვალი ნათელი

## (ნადია რაზმაძის მოსაგონარი)



**ჩვენი** სიცოცხლე ამქვეყნად ერთობ მოკლეა, ერთი წუთია, თუგინდ, ასი წელიც რომ იცოცხლო, იგი მაინც ერთი წუთია, სწრაფმავალია, თვალის ერთი დახამხამებაა...

ამიტომ ადამიანებმა ეს წუთისოფელი გონივრულად, ხალხისა და ქვეყნის სასიკეთო საქმიანობაში უნდა გამოიყენონ სიყვარულით, სიამტკბილობით უნდა დალიონ თავისი სიცოცხლის დღენი.

ქალბატონმა **ნადია რაზმაძემ** ისე განვლო თავისი ჩრდილდაუკრავი ცხოვრება, რომ ერთხელაც არ დასცდენია ბაგეთაგან აუგი საწუთროს მიმართ. რა თქმა უნდა, ცხოვრებაში მასაც შეხვედრია უსიამოვნებანი. ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობისას ყველა როდი ასრულებდა თავის მოვალეობას ქალბატონი ნადიას გუნებისად. სხვა სულიერი ტკივილიც არაერთხელ განუცდია ყველასთან და ყოველთვის ამ მართალ პიროვნებას, მაგრამ არასოდეს დაუკარგავს ზომიერება.

ამ მკაცრი იერსახის ქალბატონს მუდამ ჰყოფნიდა ქალური კდემამოსილება, თავშეკავების ძალა და უნარი; ამიტომაც იყო იგი გამორჩეული ხელმძღვანელი, დიდბუნებოვანი ადამიანი; ამიტომაც სწამდათ მისი საღი გონების ნააზრევი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სასიკეთო რჩევა-დარიგებანი.

დედაქალაქის ნაძალადევის (ლენინის) რაიონის მკვიდრი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (1949 წ.) ქარელის რაიონის სოფელ ავლევის საშუალო სკოლაში მიავლინეს ისტორიის მასწავლებლად. ოთხი წლის შემდეგ დაბრუნდა დედაქალაქში და ნაძალადევის რაიონის საშუალო სკოლებში გააგრძელა პედაგოგიური საქმიანობა. 1967 წელს 138-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. 1969 წელს კი თემქის დასახლებაში ახალგახსნილი 48-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ გადაიყვანეს, სადაც 2007 წლამდე იღვაწა. მაშინდელი 48-ე საშუალო სკოლის ახალგაზრდა დირექტორი (შემდგომში ორი რაიონის განათლების განყოფილების გამგე) ბატონი **დემურ კალანდაძე** იგონებს: ***„ქალბატონ ნადია რაზმაძესთან ჩემი ურთიერთობის წლები უმშვენიერეს დროდ მიმაჩნია. ამ პერიოდში განისაზღვრა ჩემი მრწამსიც, ადამიანური სულისკვეთებაც და პროფესიული მიმართულებაც. ბევრი კარგი თანამშრომელი მყოლია, მაგრამ ქალბატონი ნადია ყველასგან განსხვავებული, თავისთავადი ხელწერის პედაგოგი ბრძანდებოდა. ამ ორიგინალობას, უპირველეს ყოვლისა, ქმნიდა ბრწყინვალე პიროვნული თვისებები – სულის სისპეტაკე, უბრალოება, ჰუმანურობა, კეთილშობილება ჰარმონიულად შეხამებული სამართლიან, მკაცრ მომთხოვნელობასთან. ქალბატონი ნადიასნაირი ადამიანები, მართლაც რომ, ღვთის ნებით არიან მოვლენილნი ამ ქვეყნად, ამიტომაც აქვთ მათ ესოდენ დიდი სიყვარული თავიანთი პროფესიის, მტკიცე ერთგულება შრომისა და ადამიანების მიმართ...“***

ახალი სკოლა უმეტესად ახალგაზრდა კადრებით იყო დაკომპლექტებული და დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დილიდან ღამემდე თავაუღებელი საქმიანობა უწევდა. ყველა მისგან იღებდა რჩევა-დარიგებას. ახალგაზრდა პედაგოგებს თავის გაკვეთილებზე ისწრებდა. მისი გაკვეთილები მუდამ დატვირთული და საინტერესო იყო თავისი მრავალფეროვნებით, მიზნის სიცხადით, გონებისა და გულის შესარგისი საზრდოთი. მასწავლებლის საქმიანი მოძრაობა თითოეულ მოსწავლეს უსიტყვოდ უმორჩილებდა გაკვეთილის პროცესს. საშინაო დავალებებს დიფერენცირებულად იძლეოდა. იყო „სავალდებულო“ და „არასავალდებულო“ დავალებები. ასეთი დაყოფა სუსტ მოსწავლესაც აღუძრავდა სურვილსა და ინტერესს „არასავალდებულო“ დავალებისადმი. გამოძახებულ მოსწავლეს ყოველმხრივ აკვირდებოდა, ამოწმებდა მისი ცოდნის დონესაც, სულიერ სამყაროს და გონებრივ ჰორიზონტსაც. ყველას შრომისა და სამშობლოს დიდ სიყვარულს ასწავლიდა.

ქალბატონი ნადია მასწავლებელთა დიდი მასწავლებელი იყო. მისი გაკვეთილზე დასწრება და გონივრული რჩევის მიღება ახალგაზრდებსაც ახარებდა და ხანდაზმულებსაც. მის მიერ პროფესიონალიზმის მაღალი დონით მომზადებული მოხსენებები პედაგოგიური საბჭოს წევრებს მოტივაციასა და პროფესიის დიდ სიყვარულს ულვივებდა. ამიტომ იყო, რომ 48-ე საშუალო სკოლა 4-5 წელიწადში ხელმძღვანელი კადრების ერთგვარ სამჭედლოდ იქცა. პედაგოგიური ოსტატობა ქალბატონი ნადიას ხელმძღვანელობით დახვეწეს და აქედან დაწინაურდნენ: ი. ვეკუას სახელობის 42-ე მათემატიკური სკოლის ყოფილი დირექტორი ბატონი **გურამ დევდარიანი**, ნაძალადევის რაიონიდან გამოყოფილი გლდანის რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე **ემილია (ჟუჟუნა) ხელაშვილი** (შემდგომში 113-ე საჯარო სკოლის დირექტორი), ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგე **მერი აფხაზავა** (შემდგომში 149-ე საჯარო სკოლის დირექტორი), 159-ე საჯარო სკოლის დირექტორის ყოფილი მოადგილე ბატონი **ანზორ გორგოძე**; ქალბატონი ნადიას ყოფილი მოსწავლეები: მცხეთა-თიანეთის სამხარეო განათლების განყოფილების გამგე (164-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი) ბატონი **თამაზ გეჯაძე**, 32-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე ქალბატონი **ნელი ჭელიძე**, ცნობილი იურისტი **ლია მუხაშავრია**, ცნობილი ექსპერტი **ხათუნა ლაგაზიძე**, საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა’ ფოსკარის“ აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის კულტურების კათედრის მკვლევარი, რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის პროფესორი, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკის მეცნიერი კონსულტანტი **გაგა შურღაია** და ბევრი სხვა. სკოლის დირექტორი **დემურ კალანდაძე** ახალშექმნილი საქარხნო რაიონის განათლების განყოფილების გამგედ გადაიყვანეს, 48-ე სკოლის დირექტორად ქალბატონი ნადიას ხელში აღზრდილი პედაგოგი, აწ განსვენებული **სვეტლანა ჯერვალიძე** დააწინაურეს, რომელიც რამდენიმე წელი წარმატებულად ხელმძღვანელობდა აღნიშულ სკოლას.

ქალბატონი **ნადია რაზმაძე** სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული სამსახურთან, თავის ცხოვრებისეულ, ღვიძლ საქმედ მიაჩნდა იგი. პირადი ოჯახი არც შეუქმნია. ძმისშვილებს მზრუნველობდა. ერთ-ერთი მათგანი – **პაატა რაზმაძე** – დღეს 119-ე საჯარო სკოლის დირექტორია და დიდი მადლიერებით მოიხსენიებს აღმზრდელი მამიდის ამაგს.

ქალბატონი ნადია გამორჩეული იყო თავისი სიდინჯით. არ უყვარდა აჩქარება, ფაციფუცი, საქმის ნახევრად კეთება. საჭიროებისამებრ შენიშვნებს მუდამ კეთილმოსურნეობის პოზიციიდან იძლეოდა. მისთვის სრულიად უცხო იყო მედიდურობა, მბრძანებლობა, ვინმეს დამცირება. ამიტომაც მის სიტყვას მეტი დამაჯერებლობა ჰქონდა, ენდობოდნენ ამ გულითად ადამიანს და მისი სჯეროდათ.

სამწუხაროდ, დამთავრდა ამ სამაგალითო ქალბატონის ბობოქარი ცხოვრება. ცოტახნის წინათ მადლიერმა ახლობლებმა და მეგობრებმა სამუდამო სამყოფელამდე მივაცილეთ იგი. მსუბუქი იყოს მისთვის სათაყვანებელი ქართული მიწა. მისი თავდადებული ნაღვაწი კი თაობიდან თაობაში მიედინება.

დაე, იდინოს. ამინ!

**მერი აფხაზავა,**

*შპს „ლილე“ კერძო სკოლის დირექტორის მოადგილე.*

---

**უკვდავყოთ სიმონ სხირტლაძე!**

# მიმართვა სრულიად საქართველოს მასწავლებლობას!

**ჟურნალი**, „რაჭველები“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია, მწერლები, პოეტები, ერის გამოჩენილი ადამიანები და საზოგადო მოღვაწეები, ყველა ჩართულია ერისა და ქვეყნის დიდი მასწავლებლის, კაცობისა და მეგობრობის ეტალონის, უებრო თამადის, **სიმონ სხირტლაძის** სახლ-მუზეუმის გახსნის საერო საქმეში.

სახლი, რომელიც მდებარეობს გოგებაშვილის ქუჩა №22-ში და



ამშვენებს მემორიალური წარწერა — აქ ცხოვრობდა ბატონი **სიმონ სხირტლაძე**, გამოსასყიდია. იქ სიმონ სხირტლაძის სახლ-მუზეუმია გასახსნელი.

ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველი ერი, დიდი პედაგოგების ძეგლებითა და სახლ-მუზეუმებით განებივრებულნი არა ვართ.

ამდენად, აღნიშნული ბინის გამოსყიდვა (ფასი 50000$) ვფიქრობ, რომ საქართველოს მასწავლებლობის უპირველესი მოვალეობაა, თითოეულმა ჩვენგანმა ერთი დოლარი რომ გავიღოთ, ბინას გასხვისებისგან გადავარჩენთ და მომავალ თაობებს, როგორც დიდი პედაგოგის, ისე მასწავლებლისადმი ერის უსაზღვრო სიყვარულის უკვდავ ძეგლს დავუტოვებთ.

ჩვენს ასოციაციას – **საქართველოს პედაგოგთა უფლებების დაცვის კავშირს**, მატერიალური ღირებულების თვალსაზრისით, დიდი საქმეები აქვს გაკეთებული.

უკურნებელი სენით დაავადებულ პედაგოგთა შვილების უცხოეთში სამკურნალოდ და მიწისძვრით დაზარალებულ პედაგოგთა ოჯახების დასახმარებლად ასიათასობით თანხა გვაქვს შეგროვებული.

სიტყვა, და რაც მთავარია საქმე, ჩვენზეა ძვირფასო კოლეგებო!

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ ეროვნულ საქმეში ჩვენთან ერთად მთელი საქართველო უნდა ჩავრთოთ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ დიდი პედაგოგის სახელის უკვდავყოფაში გადამწყვეტ სიტყვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და თბილისის მერია იტყვის.

**საბანკო ანგარიშია: საქართველოს ბანკი:**

**GE77BG0000000815013600**

პატივისცემით, არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს პედაგოგთა უფლებების დაცვის კავშირის პრეზიდენტი – **გოჩა გურგენიძე.**

**საკონტაქტო ტელეფონი:**
599 43 44 35;
599 13 62 43; 2 34 13 13.

---

**სარეკლამო კუთხე**

**შეგიძლიათ განათავსოთ:**

**განცხადებები**
**მილოცვები**
**ნეკროლოგები**
**სხვა ინფორმაცია**

ეს წიგნი პედაგოგმა დაწერა

# ვინ დაიბრუნებს აფხაზეთს?



**ვისაც** აფხაზეთის ტკივილი არ ტკივა, არაქართველია! ასეთია ამ წიგნის დედააზრი. ვინც აფხაზეთის დაბრუნების შანსი ხელიდან გაუშვა, მოღალატეა! ასეთია წიგნის სულისკვეთება. და ეს წიგნი დაწერა ცნობილმა მწერალმა და პედაგოგმა **ტარიელ მუმლაძემ** სახელწოდებით **„ქალი ენგურს გაღმა“**.

აფხაზეთის ომზე დაწერილთა შორის ეს წიგნი ერთ-ერთი საუკეთესო და მძაფრსიუჟეტიანია. მას პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ მხატვრულ-ისტორიულ-პოლიტიკური რომანი. სამივე კუთხით სწორად და მაღალ დონეზე არის გააზრებულ-გაანალიზებულ-შეფასებული მოვლენები, ტრაგიკული ეპიზოდები და საზოგადოების ფსიქოლოგია.

მოქმედების არეალი გალის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის რეგიონებია. ამ რეცენზიის ავტორი ოჩამჩირიდანაა (ახალი კინდღიდან) და მეგონა ჩემზე უკეთ არავინ იცნობდა ამ მხარეს, მის კოლორიტს, აფხაზებისა და ქართველების თანაცხოვრება-მეგობრობის შინაარსს. ყოჩაღ, ბატონო ტარიელ, რომ თქვენ, ლაგოდეხელი კაცი, რომელსაც არასოდეს გიცხოვრიათ აფხაზეთში, ასე ღრმად ჩაწვდით და გაითავისეთ აქაური ადამიანების ტრაგედია.

ეს ეპოპეა-მოქმედება გაშლილია ჭეშმარიტი პატრიოტების **ლიანა ანთიასა** და **ნიკოლოზ ნანავას** დიდი ოჯახის, მათი შვილების: **ოთარ**, **ომარ**, **მურმან**, **გალინა ნანავების**, აფხაზი მეგობრების **ბუხუტი შამბას** და **გონერი აჩბას** ცხოვრება-ურთიერთობათა ფონზე.

რომანში მხატვრულად ნაჩვენებია დიდი სამამულო ომისა და მის წინარე პერიოდში ამ პერსონაჟთა თავგადასავლები. შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი ქართველი დედის სახე. **ლიანა ანთია** მაგონებს ილია ჭავჭავაძის ქართველ დედებს, რომლებიც მამულს უზრდიდნენ შვილებს.

სტატიას რომ ვწერდი, ტელე „ობიექტივის“ ეკრანზე აფხაზეთის შესახებ საუბრობდა ამ წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი, დიდი პატრიოტი კაცი **აკაკი გასვიანი**.

წიგნში შემზარავია სოხუმის დაცემის, ჭუბერის ტრაგედიის, ასევე ღალატის ეპიზოდები. ამის გამო, ხომ აფხაზეთის დაბრუნების ბევრი შანსი გავუშვით ხელიდან? ხომ ცნობილია, რამდენი ოთხმხრივი თუ ჟენევის შეხვედრა ჩატარდა უშედეგოდ? (შედეგი იყო შეხვედრის დასრულებისას მხოლოდ მონაწილეთა რესტორანში შესვლა).

რეცენზიაში ყველაფერს ვერ შევეხებით. მკითხველსაც ხომ უნდა დავუტოვოთ წიგნი წასაკითხად?

ვინ დაიბრუნებს აფხაზეთსო? – ვთქვით სათაურში. ვინ და **ლიანა ანთიას**, **ნიკოლოზ ნანავას** მათი შვილებისა და მეგობრებისთანა პატრიოტი, მამულისთვის, ქართველობისთვის გულანთებული ადამიანები დაიბრუნებენ.

**ბორის კინდღელი**

# «სასიამოვნო» მიკრონოველები

## ესეც შენი მათხოვარი

**მეტროთი** ყოველ მგზავრობაზე ვაგონში ჩემწინ 3-4 მათხოვარი მაინც გაივლის. ათი წელია ვხვდები ერთ გრუზათმიან, თავხედ ბიჭს. ნახევარი თბილისი იცნობს მას. ვაგონში არ დაბადებულა, თორემ აქ გაიზარდაო, – ამბობენ მგზავრები.

მუხლებზე დავარდება, თავს შეგაცოდებს... და მის ყულაბაში „თეთრების“ ჩხრიალია. არა მგონია, სკოლაში დადიოდეს. ერთი რამ მიკვირს: მშვენივრად არის ჩაცმული, ჩემს შვილიშვილებზე უკეთესად.

„დიდუბის“ გაჩერებაზე ერთად ჩავედით. ქურთუკის ჯიბიდან მყის დააძრო ძვირადღირებული „ბიზნესმენური“ მობილური: დედა, დღეს კარგად ვიმუშავე.

ესეც შენი მათხოვარი.

## კომპიუტერი – უეცემი და პანაცეა?

**იდიოტი** უნდა იყო, დღეს კომპიუტერის უდიდესი სიკეთე და სასწავლო დანიშნულება არ გესმოდეს. ამ თემაზე ერთ სკოლის დირექტორთან კამათი მომივიდა.

– თქვენ და თქვენი პედაგოგები მასწავლებლის გაზეთს რომ არ იწერთ, არ გჭირდებათ?

– საკუთარი „ვებ-გვერდი“ გვაქვს, სადაც ყველა საჭირო მასალა თავს იყრის.

– „ვებ-გვერდს“ თავისი დანიშნულება აქვს, ადგილობრივი მოხმარებისაა, ჩაკეტილი წრეა. არ გინდათ, გარეთ, საგანმანათლებლო სივრცეში გაიხედოთ?

– შევყოფ თავს ინტერნეტში და ყველა ინფორმაციას მოვიპოვებ.

– კომპიუტერი მაინც სწავლების ტექნიკური საშუალებაა და არა პანაცეა. გაზეთით კი, პედაგოგი უფრო მეტ ცოცხალ სასწავლო პროცესს, მეთოდიკას, სხვის გამოცდილებას ეზიარება.

– არა, კომპიუტერია ყოვლისშემძლე, ყველაფრის თავი და თავი...

– თუ თქვენს ლოგიკას ჩავუღრმავდებით, მაშინ მასწავლებელიც არ იქნება საჭირო. მოსწავლე შინ მიიღებს აღზრდა-განათლებას. არც დირექტორი იქნება საჭირო...

დაფიქრდა. დუმილი. დუმილი კი, თანხმობის ნიშანია.

## ცხაურში გამოჭერილი

**სკოლის** თემაზე გაზეთისთვის მასალა მჭირდებოდა და ვურეკავ სკოლის დირექტორს. საქმეთა მმართველმა გამომძიებელივით გამოიძია: „ვინა ვარ, სიდან მოვსულვარ, რა საქმეზე ვარ სადაო“, და შემდეგ მითხრა:

– დირექტორი სამინისტროშია წასულიო.

კიდევ ცხრა სკოლაში დავრეკე. ყველგან ერთიდაიგივე, „გამომძიებლის“ შეკითხვა-პასუხები: „დირექტორი შენობიდანაა გასული“, „სამინისტროშია წასული“, რესურსცენტრში იმყოფება“, „შეხვედრაზეა“...

„გონივრული ეჭვი“ გამიჩნდა. გამახსენდა: ერთ სკოლაში ჩემი მეგობარი მუშაობს.

– დირექტორი სკოლაშია? – ვეკითხები, – დიახ, თავის კაბინეტშია.

იმწამსვე სკოლაში დავრეკე. ჩემზე დოსიეს შეგროვებას მორჩა საქმეთა მმართველი და მპასუხობს: დირექტორი „რესურსცენტრშია“ წასული. არ ვიცი, როდის დაბრუნდება.

– მობილურის ნომერს ვერ მომცემთ? – აკრძალული გვაქვს.

ამის შემდეგ მოდი და ნუ გაგახსენდება: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“.

## საყვედურნარევი საუბარი

**დიდ** სასკოლო ღონისძიებაზე საინტერესო სტატია გამოვაქვეყნე. რადგან გაზეთი არავის ჰქონდა გამოწერილი და არც ჯიხურებში იყიდებოდა, პედაგოგებმა მთხოვეს: მოგვიტანე, შევიძენთო. ზოგმა იყიდა, ზოგმა – არა.

– თავისი პროფესიული გაზეთი პედაგოგს არ უნდა აინტერესებდეს? – გამოვთქვი საყვედური.

– არ შევიძენ. იმ წერილში ნახსენები არა ვარ, – პროტესტი გამოხატა ერთმა მდიდრულად ჩაცმულმა ქალბატონმა.

– მესმის ხელმოკლე პედაგოგის ყოფა, მაგრამ არა მგონია იმასაც წელიწადში ერთ-ორჯერ თავისი პროფესიული გაზეთისთვის 80 თეთრი დაენანოს, – ისევ გამოვთქვი ზოგადი საყვედური.

პროტესტანტ პედაგოგს სიღარიბის არაფერი ეტყობოდა. მისი გახსნილი ჩანთიდან ძვირადღირებულ ჟურნალს ამოეყო თავი, რომლის ყდაზე შიშველი ქალის ფოტო მოჩანდა.

**მოსე მწერალი**



# დედის დღე 3 მარტია



## იოსებ ნონეშვილი

## დედა

დედავ – სიცოცხლის დიდო საწყისო.,
დედავ – ცხოვრების ბურჯო მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

ჩემს აკვანს ფერად ღილკილებიანს
შენ დამღეროდი „ნანას“, „მზე შინას“.
რამდენი ღამე არ გძინებია,
რომ ჩემთვის ძილი გესწავლებინა.

შენ ჩემი ხელი ხელში გეჭირა,
არ მშორდებოდი წუთით, საათით.
რომ სიარული გესწავლებინა
შენც დადიოდი ჩემთან ტაატით.

მე შენი წმინდა შუქი მეფინა,
შენსკენ მოვრბოდი ხელებგაშლილი,
რომ ლაპარაკი გესწავლებინა,
შენც ტიტინებდი ჩემთან ბავშვივით.

თურმე რამდენჯერ ავად გავმხდარვარ,
რამდენჯერ სენმა ხელი დამრია,
დედავ, იმდენჯერ ბღუჯა ჭაღარა,
თმებში ჭაღარა შემოგპარვია.

დედავ – სიცოცხლის ტკბილო საწყისო,
დედავ – ცხოვრების დვრიტავ მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

ნომრის რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+
№3 (4507)
25 თებერვალი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009